

შპს „ასკანგელ ალიანს“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ასკანგელ ალიანს“
სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	11
დასკვნის ბოლო გვერდი	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ასკანგელ ალიანსი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ასკანგელ ალიანსი“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნულ თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ ჩაუტარებია და შესაბამისად, ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ვერც ალტერნატიური პროცედურებით შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების არსებობასა და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 1,699 ათას ლარსა და 1,658 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანია მოპოვებული ბენტონიტის რაოდენობას აღიარებს ყოველთვიური მოპოვების აქტების მიხედვით. აუდიტის პროცესში ბენტონიტის მოპოვების აქტებსა და ბუღალტრულ ჩანაწერებს შორის გამოვლინდა სხვაობა, რომელიც შეადგენს 1,355 ტონას, რაც სავარაუდო ღირებულებით შეადგენს 111 ათას ლარს. ხსენებული სხვაობა საბუღალტრო ჩანაწერებში ასახულია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 2025 წელს. შესაბამისად, აღნიშნული მარაგები არ არის სწორ პერიოდში აღიარებული.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 16,034 ლარსა და 16,126 ათას ლარს. ასევე, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებები აჭარბებს კომპანიის აქტივებს. რაც გულისხმობს, რომ კომპანია საჭიროებს ინვესტიციებს საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად. ხელმძღვანელობისგან ვერ მოვიპოვეთ მომავალი და მათ შორის, უახლოესი პერიოდის ფულადი ნაკადების პროგნოზი. შესაბამისად, ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, რომ კომპანიას ექნება საკმარისი სახსრები ვალდებულებების მომსახურებისთვის, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ასევე, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში სათანადოდ არ არის გამჟღავნებული კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით არსებული არსებითი განუსაზღვრელობა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს ჩატარებული ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 36 „აქტივების გაუფასურების“ მიხედვით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითადი საშუალებებისა გაუფასურებასთან დაკავშირებით.

კომპანიას ბალანსზე აღირცხული აქვს დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები, რომელზეც არ აქვს განსაზღვრული სასიცოცხლო ვადები და არ ახდენს ცვეთის დარიცხვას. დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენს 643 ათას ლარს და 509 ათას ლარს. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლში შემავალი ერთ-ერთი კრედიტორული ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 60 ათას ლარსა და 60 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები გაცემული სესხის მუხლში შემავალი ერთ-ერთი ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 228 ათას ლარსა და 208 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან. ამავდროულად ჩვენ ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობას, რომ გავცენოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხედრამა ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია მისთვის განსაზღვრულ მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი მოსაზრება, არის მანუჩარ დვალის

შპს „ქუდოს ჯორჯია“-ს სახელით

24 სექტემბერი, 2025 წ.
თბილისი, საქართველო

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდებოდა აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დადგენილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი მოსაზრება, არის მანუჩარ ღვალი

მპს „ქუდოს ჯორჯია“-ს სახელით

24 სექტემბერი, 2025 წ.
თბილისი, საქართველო



შპს „ასკანგელ ალიანს“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათას ლარში)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	11,532	11,444
არამატერიალური აქტივები	6	1,293	1,401
გაცემული გრძელვადიანი სესხები	7	4,453	3,054
სულ გრძელვადიანი აქტივები		17,278	15,899
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	1,699	1,658
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	968	779
ფული და ფულის ექვივალენტები	10	191	234
გაცემული სესხი	7	234	978
სულ მიმდინარე აქტივები		3,092	3,649
სულ აქტივები		20,370	19,548
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულება	11	8,708	8,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,708	8,000
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	595	566
საგადასახადო ვალდებულებები		48	26
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	11	27,052	27,080
სულ მიმდინარე ვალდებულებები		27,695	27,672
სულ ვალდებულებები		36,404	35,672
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(16,034)	(16,126)
სულ კაპიტალი		(16,034)	(16,126)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		20,370	19,547

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი ჩქარული

გვერდებზე 11-32 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ასკანგელ ალიანს“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათას ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	11,532	11,444
არამატერიალური აქტივები	6	1,293	1,401
გაცემული გრძელვადიანი სესხები	7	4,453	3,054
სულ გრძელვადიანი აქტივები		17,278	15,899
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	1,699	1,658
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	968	779
ფული და ფულის ექვივალენტები	10	191	234
გაცემული სესხი	7	234	978
სულ მიმდინარე აქტივები		3,092	3,649
სულ აქტივები		20,370	19,548
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულება	11	8,708	8,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,708	8,000
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	595	566
საგადასახადო ვალდებულებები		48	26
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	11	27,052	27,080
სულ მიმდინარე ვალდებულებები		27,695	27,672
სულ ვალდებულებები		36,404	35,672
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(16,034)	(16,126)
სულ კაპიტალი		(16,034)	(16,126)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		20,370	19,547

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი:

 გიორგი ჩქარული

გვერდებზე 11-32 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ასკანგელ ალიანს“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება (ათას ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	9,462	6,211
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14	(6,594)	(5,517)
საერთო მოგება		2,868	693
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2,403)	(2,319)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		115	94
სხვა საოპერაციო ხარჯები		(0)	(138)
საოპერაციო მოგება		580	(1,669)
ფინანსური შემოსავალი	16	519	481
ფინანსური ხარჯი	17	(1,204)	(1,180)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		205	(900)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		14	9
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(22)	(65)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		93	(3,325)
წმინდა მოგება (ზარალი)		93	(3,325)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი ჩქარული

გვერდებზე 11-32 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ასკანგელ ალიანს“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება (ათას ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	9,462	6,211
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14	(6,594)	(5,517)
საერთო მოგება		2,868	693
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2,403)	(2,319)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		115	94
სხვა საოპერაციო ხარჯები		(0)	(138)
საოპერაციო მოგება		580	(1,669)
ფინანსური შემოსავალი	16	519	481
ფინანსური ხარჯი	17	(1,204)	(1,180)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		205	(900)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		14	9
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(22)	(65)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		93	(3,325)
წმინდა მოგება (ზარალი)		93	(3,325)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი:



გიორგი ჭყარელი

გვერდებზე 11-32 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ასკანგელ ალიანს“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ათას ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31-დეკ-22	(12,803)	(12,803)
პერიოდის ზარალი	(3,325)	(3,325)
31-დეკ-23	(16,128)	(16,128)
პერიოდის მოგება	93	93
31-დეკ-24	(16,035)	(16,035)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი ჩქარეული

გვერდებზე 11-32 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ასკანგელ ალიანს“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ათას ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31-დეკ-22	(12,803)	(12,803)
პერიოდის ზარალი	(3,325)	(3,325)
31-დეკ-23	(16,128)	(16,128)
პერიოდის მოგება	93	93
31-დეკ-24	(16,035)	(16,035)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი:



გიორგი ჩქარეული

გვერდებზე 11-32 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ასკანგელ ალიანს“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ათას ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

არაპირდაპირი მეთოდი

	2024	2023
მოგება დაბეგვრამდე	93	(3,325)
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	426	756
ფინანსური შემოსავალი	(519)	(481)
ფინანსური ხარჯი	1,204	1,180
საექვო ვალების ანარიცხი	(19)	138
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(205)	900
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(203)	(265)
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	(40)	(219)
კლება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30	(288)
კლება/(ზრდა) საგადასახადო ვალდებულებებში	21	6
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	788	(1,598)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(404)	(147)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(4)	(916)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(408)	(1,063)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის მიღება/გადახდა	(186)	2,884
სესხის გაცემა	(123)	(87)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	(309)	2,797
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	71	136
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	(116)	(90)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	234	188
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	189	234

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი ჩქარეული

გვერდებზე 11-32 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ასკანგელ ალიანს“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ათას ლარში)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

არაპირდაპირი მეთოდი

	2024	2023
მოგება დაბეგვრამდე	93	(3,325)
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	426	756
ფინანსური შემოსავალი	(519)	(481)
ფინანსური ხარჯი	1,204	1,180
საექვო ვალების ანარიცხი	(19)	138
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(205)	900
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(203)	(265)
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	(40)	(219)
კლება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30	(288)
კლება/(ზრდა) საგადასახადო ვალდებულებებში	21	6
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	788	(1,598)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(404)	(147)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(4)	(916)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(408)	(1,063)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის მიღება/გადახდა	(186)	2,884
სესხის გაცემა	(123)	(87)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	(309)	2,797
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	71	136
საკუროს სხვაობა ფულად სახსრებზე	(116)	(90)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	234	188
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	189	234

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი:



გიორგი ჩქარეული

გვერდებზე 11-32 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ასკანგელ ალიანს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405143786) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა საქართველოში 2016 წლის 04 აპრილს. საქართველო, ოზურგეთის რაიონი, სოფელი დვამი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

დასახელება	წილი %
SERTORA LIMITED, HE331599/კვიპროსი/	53.5%
გოჩა ჩხაიძე (საქართველოს და რუსეთის ფედერაციის ორმაგი მოქალაქე)	20%
გიორგი ჩხეიძე (აშშ-ის მოქალაქე)	2.5%
ნინო ჩხეიძე (საქართველოს მოქალაქე)	2.5%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ანასეულის კომბინატი, 437062713	21.5%

კომპანიის მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო:

- თავმჯდომარე - გიორგი ცნობილაძე
- წევრი - დავით მჭედლიძე
- წევრი - თენგიზ შარაშიძე
- წევრი - იურის ლეონენკო

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - გიორგი ჩქარეული

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბენტონიტური თიხის მოპოვება და მისგან ისეთი პროდუქციის წარმოება როგორიცაა: ბენტონიტი ღვინის წარმოებისთვის, საყალიბე თიხა, ბენტონიტი კომბინირებული საკვებისთვის, ბენტონიტი საბურღი ხსნარებისთვის და ღვინის ბენტონიტი. კომპანია ბენტონიტს მოიპოვებს საქართველოს ტერიტორიაზე და შემდგომ ახდენს რეალიზაციას როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ბაზარზე. უმეტესწილად ოპერირებს საექსპორტო ბაზარზე.

შპს „ასკანგელ ალიანსის“ მაკონტროლებელი მხარეა SERTORA LIMITED” (HE331599). ხოლო, საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე იურის ლეონენკო (ლატვიის მოქალაქე).

წარმოდგენილი ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. საანგარიშგებო პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარმოდგენილია/დამრგვალებულია ათას ლარებში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესაძარის ინფორმაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

ანგარიშგებაში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული შეფასების საფუძველად გამოყენებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველი.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ფინანსური ანგარიშგები მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით. რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისთვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა

ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩეველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისთვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. მოთხოვნები არის არადერივადი ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით, როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3-დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ფასდება გარიგების ფასით, ხოლო ისეთი მოთხოვნები, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს. თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები). ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება ბალანსიდან, როდესაც კომპანიას აღარ აქვს კონტროლი ქონებაზე - რაც უძრავი ქონების შემთხვევაში, წარმოადგენს თარიღს, როდესაც კომპანიას აღარ აქვს საკუთრების უფლება ქონებაზე. ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ჯგუფის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის

სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განთავსებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. მიწის გარდა, ძირითადი საშუალებების ცვეთისთვის გამოიყენება შემდეგი საექსპლუატაციო ნორმები:

ჯგუფი	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა	10-50
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
მანქანა დანადგარები	5-30
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები	5

ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით. შესაბამისად, შემდგომში არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ხორციელდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10-15 წელი.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება დაპირებული საქონლის და მომსახურების მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის დროს. გადაცემას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს ამგვარ აქტივზე. კომპანიამ დაასკვნა, რომ ამონაგებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასწარმოების მხრივ თავისუფლება და ატარებს მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

კომპანია აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას ანალოგიურად, თუ კომპანია დააკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, კომპანია აღიარებს სახელშეკრულებო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.

შემოსავალი იზომება გარიგების ფასით. გარიგების ფასის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს კონტრაქტის პირობებსა და თავის ჩვეულ ბიზნეს-საქმიანობას. გარიგების ფასი წარმოადგენს კომპანიას მიერ მოსალოდნელ თანხას, რომელიც მიიღება დაპირებული მომხმარებლისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ, გარეშე/მესამე პირებისათვის (მაგალითად, ზოგიერთი გაყიდვის დანახარჯი) შეკრებილი თანხის გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებით. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდების ღირებულება გადავა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივებზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სესხები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული ნასესხები სახსრებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების კორექტირებად.

ისეთი აქტივის შეძენისთვის ან წარმოებისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელთა მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის თვითღირებულების ნაწილი.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

შესადარისი პერიოდის რეკლასიფიკაცია

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოახდინა წინა წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლების რეკლასიფიკაცია. კერძოდ, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლებში არსებული კონტრაგენტების გადახურვა და ნეტო თანხით წარდგენა. ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია გაუნაწილებელ მოგებაზე. შესაბამისად, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არის საჭირო შესადარისი პერიოდის გადანგარიშება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ.

მენეჯმენტი თავის მოსაზრებებს, შეფასებებსა და მოსაზრებებს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვადასხვა ფაქტორებს, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საანგარიშგებო პერიოდში გაკეთებული შეფასებები გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები:

ფუნქციონირებადი საწარმო: ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა.

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები: საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღიარებისას, კომპანიის ვალდებულება შესრულებულად ითვლება საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდების მომენტში, რადგან თვლიან, რომ ეს არის დრო, როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი ზემოთაღნიშნულ საქონელზე

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დათვლის გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა მოითხოვს შეფასებას და მსჯელობას. იგი დაფუძნებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რომელიც დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე და აკეთებს ვარაუდს, განისაზღვროს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი თითოეული ჯგუფისათვის. ეს ვარაუდები ეფუძნება ბოლოდროინდელ გაყიდვებს და ისტორიულ გამოცდილებებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება: მარაგების გაუფასურების შეფასება საჭიროებს შეფასებას და მსჯელობას. გაუფასურების დონის შეფასება ხდება იმ ბოლოდროინდელი გაყიდვების გამოცდილების, მარაგების დაძველების და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს სასაქონლო მატერიალური მარაგების ფასის განსაზღვრაზე.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა: კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სასამართლო დავები: კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარეცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარეცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ქვემოთ წარმოდგენილია გამოცემული ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები, რომლებიც არ არის შესული ძალაში კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის.

ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის არარსებობა - შესწორებები ბასს (IAS) 21-ში

2023 წლის აგვისტოში, ფასს-ის საბჭომ გამოსცა შესწორებები ბასს (IAS) 21-ში „სავალუტო კურსების ცვლილებების ზეგავლენა“, რათა განესაზღვრა, როგორ უნდა შეაფასოს ორგანიზაციამ ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა და დაადგინოს მიმდინარე გაცვლითი კურსი საანგარიშოდ ერთი ვალუტის სხვა ვალუტაზე გაცვლის შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში. შესწორებები ადგენს ვალდებულებას, გამჟღავნებულ იქნას ინფორმაცია, რომელიც საშუალებას აძლევს მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს გაიგონ, თუ რა ზეგავლენა აქვს ან მოსალოდნელია რომ იქონიებს მოცემული ვალუტის სხვა ვალუტაზე გაცვლის შესაძლებლობის არარსებობა ორგანიზაციის ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

შესწორებები ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან ან მას შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადამდელი გამოყენება, თუმცა ეს ფაქტი უნდა იქნას გამჟღავნებული. შესწორებების გამოყენებისას, ორგანიზაციამ არ მოახდინოს შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშება.

მოსალოდნელია, რომ შესწორებებს არ ექნება არსებითი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 18 „ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის წარდგენა და გამჟღავნება“

2024 წლის აპრილში, ფასს-ის საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 18, რომელიც ცვლის ბასს (IAS) 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს (IFRS) 18 აწესებს ახალ მოთხოვნებს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარდგენასთან მიმართებით, აღნიშნული ჯამებისა და შუალედური ჯამების ჩათვლით. გარდა ამისა, ორგანიზაციები ვალდებულია მოახდინონ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება ხუთიდან ერთერთი კატეგორიის მიხედვით: საოპერაციო, საინვესტიციო, ფინანსური, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი საქმიანობა, რომელთაგან პირველი სამი ახალია. მოცემული სტანდარტი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული, ეფექტურობის შესრულების საზომების, შემოსავლებისა და ხარჯების ქვეჯამების წარდგენას და მოიცავს ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგაციასა და დეზაგრეგაციასთან მიმართებით, ფინანსური ანგარიშგების განსაზღვრული როლებისა და შენიშვნების საფუძველზე.

ამასთანავე ბასს (IAS) 7-ში „ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგება“ შეტანილ იქნა ვიწრო პროფილის ცვლილებები, რაც მოიცავს საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას ირიბი მეთოდით „მოგებიდან ან ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება-ზარალზე“ და არჩევითობის აღმოფხვრას დივიდენდებიდან და პროცენტებიდან ფულადი ნაკადების კლასიფიკაციასთან მიმართებით. გარდა ამისა, ადგილი აქვს შემდგომ ცვლილებებს რამდენიმე სხვა სტანდარტთან დაკავშირებით.

შესწორებები ფასს (IFRS) 18-სა და სხვა სტანდარტებში ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ვადამდელი გამოყენება დასაშვებია და უნდა იქნას გამჟღავნებული. ფასს (IFRS) 18 ასევე გამოყენებულ იქნება რეტროსპექტულად.

ფასს (IFRS) 19 „არასაჯარო შვილობილი კომპანიები: ინფორმაციის გამჟღავნება“

2024 წლის მაისში, ფასს-ის საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 19, რომელიც საშუალებას აძლევს შესაბამის ორგანიზაციებს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან მიმართებით შემცირებული მოთხოვნების გამოყენება, და გააგრძელონ ფასს-ის (IFRS) სხვა სტანდარტებში დადგენილი აღიარების, შეფასებისა და წარმოდგენის მოთხოვნების გამოყენება. ორგანიზაციას აქვს უფლება გამოიყენოს ეს სტანდარტი, თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ის არის შვილობილი კომპანია, როგორც ეს განსაზღვრულია ფასს (IFRS) 10-ში, არ აქვს საჯარო ანგარიშგება და ჰყავს (საბოლოო ან შუალედური) მშობელი კომპანია, რომელიც, თავის მხრივ, ადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის და შესაბამეა ფასს-ს (IFRS). ფასს (IFRS) 19 ძალაში იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადამდელი გამოყენება. მოსალოდნელია, რომ მოცემული შესწორებები მნიშვნელოვან ზეგავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „ასკანგელ ალიანს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება ბალანსი 31/12/2022	171	5,253	8,415	428	1,698	-	15,965
მატება	-	-	19	8	206	-	214
ჩამოწერა	-	-	(19)	-	(242)	-	(242)
პირვანდელი ღირებულება ბალანსი 31/12/2023	171	5,253	8,415	436	1,662	-	15,937
მატება	-	53	355	30	495	11	942
ჩამოწერა	-	(57)	(3)	-	(412)	(7)	(479)
პირვანდელი ღირებულება ბალანსი 31/12/2024	171	5,248	8,766	465	1,745	3	16,400
აკუმულირებული ცვეთა 31/12/2022	-	(586)	(1,937)	(361)	(1,097)	-	(3,981)
ცვეთის ხარჯი	-	(108)	(346)	(53)	(184)	-	(692)
ჩამოწერა	-	-	-	-	177	-	177
აკუმულირებული ცვეთა 31/12/2023	-	(695)	(2,283)	(413)	(1,104)	-	(4,495)
ცვეთის ხარჯი	-	(108)	(357)	(53)	(185)	-	(705)
ჩამოწერა	-	-	-	-	332	-	332
აკუმულირებული ცვეთა 31/12/2024	-	(803)	(2,640)	(467)	(958)	-	(4,868)
საბალანსო ღირებულება 31/12/2022	171	4,666	6,480	67	601	-	11,986
საბალანსო ღირებულება 31/12/2023	171	4,558	6,134	22	558	-	11,444
საბალანსო ღირებულება 31/12/2024	171	4,445	6,126	(2)	788	3	11,532

კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გირაოში ჩადებული ძირითადი საშუალებები შემდეგი ჯგუფებიდან: სატრანსპორტო საშუალებები, მიწის ნაკვეთი და მანქანა-დანადგარები.

6. არამატერიალური აქტივები

	საბუღალტრო პროგრამა	საბადოს გადახსნასთან დაკავშირებული კაპიტალიზაცია	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 31/12/2022	24	690	714
მატება	3	913	916
ნაშთი 31/12/2023	27	1,603	1,630
მატება	4	-	4
ნაშთი 31/12/2024	31	1,603	1,634
აკუმულირებული ამორტიზაცია			
ნაშთი 31/12/2022	(15)	(149)	(164)
ამორტიზაცია	(4)	(61)	(65)
ნაშთი 31/12/2023	(19)	(210)	(229)
ამორტიზაცია	(5)	(107)	(112)
ნაშთი 31/12/2024	(24)	(317)	(341)
საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31/12/2022	9	541	550
ნაშთი 31/12/2023	8	1,393	1,401
ნაშთი 31/12/2024	7	1,286	1,293

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2016 წელს "შპს ასკანგელ ბენტონიტი"-ზე გასცა ლიცენზია, რომელიც დაკავშირებულია "ასკანი" ბენტონიტური თიხის მოპოვებასთან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვანისქედის ტერიტორიაზე. ლიცენზია გაცემულია 2031 წლამდე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2018 წელს შპს "ასკანგელ ჯგუფზე" გასცა ლიცენზია, რომელიც დაკავშირებულია "ასკანი" ბენტონიტური თიხის მოპოვებასთან სოფ. ვანისქედის ტერიტორიაზე. აღნიშნული ლიცენზიის ვადა განისაზღვრა 2034 წლამდე.

ზემოთ ხსენებული კომპანიები წარმოადგენენ შპს "ასკანგელ ალიანსი"-ს დაკავშირებული მხარეებს, რომლებსგანაც კომპანიამ 2018 წელს იჯარით მიიღო ბენტონიტური თიხის მოპოვების ლიცენზიები. ამ ლიცენზიის მიხედვით კომპანიას აქვს ბენტონიტური თიხის მოპოვების უფლება. არამატერიალური აქტივი გენერირდება ბენტონიტური თიხის მოსაპოვებლად საბადოს გადახსნასთან დაკავშირებული აკუმულირებული ხარჯებით.

7. გაცემული სესხები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სესხის ძირი თანხა	3,168	2,908
მისაღები პროცენტი	1,518	1,124
სულ გაცემული სესხები	4,686	4,032

შპს „ასკანგელ ალიანს“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

კომპანიას გაცემული აქვს სესხები იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე.

31.12.2024	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	სულ
შპს ასკანგელ ბენტონიტი	31/01/2020	12/30/2026	17%	GEL	1,006
შპს ასკანგელ ჯგუფი	16/05/2017	31/12/2034	17%	GEL	3,351
თენგიზ შარაშიძე	19/09/2019	31/12/2029	12%	GEL	11
თენგიზ შარაშიძე	1/11/2018	31/12/2023	12%	USD	233
შპს ლიბერა	1/10/2022	24/01/2026	5%	USD	84
გაცემული სესხები					4,686

31.12.2023	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	სულ
შპს ასკანგელ ბენტონიტი	31/01/2020	24/01/2024	17%	GEL	764
შპს ასკანგელ ჯგუფი	16/05/2017	31/12/2034	17%	GEL	2,962
თენგიზ შარაშიძე	19/09/2019	31/12/2029	12%	GEL	16
თენგიზ შარაშიძე	1/11/2018	31/12/2024	12%	USD	214
შპს ლიბერა	1/10/2022	24/01/2026	5%	USD	76
გაცემული სესხები					4,032

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ბენტონიტური თიხა	1,156	1,214
მასალები	339	263
მზა პროდუქცია	128	82
სხვა მარაგები	76	99
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1,699	1,658

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,254	1,139
გადახდილი ავანსები	191	122
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	22	35
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,467	1,296
საექვო დებიტორული დავალიანების ანარიცხები	(499)	(518)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	968	779

საექვო დებიტორული დავალიანების ანარიცხებთან დაკავშირებით დეტალური ცხრილი იხილეთ ქვემოთ:

31.12.2024	სავაჭრო მოთხოვნები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
გაუფასურებაზე ჯგუფურად განხილული მოთხოვნები			
მიმდინარე 0-30	337	0%	0
ვადაგადაცილება (დღე) 31-60	143	2%	3
ვადაგადაცილება (დღე) 61-90	55	3%	2

შპს „ასკანგელ ალიანს“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

ვადაგადაცილება (დღე) 91-180	77	5%	4
ვადაგადაცილება (დღე) 181-360	61	25%	15
ვადაგადაცილება (დღე) 360+	370	100%	370
გაუფასურებაზე ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები	209	50%	105
	1,253		499

სავაჭრო ვალების ანარიცხების მოძრაობა შემდეგია:

	თანხა
31 დეკემბერი 2022	(380)
უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი	(138)
31 დეკემბერი 2023	(517)
უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვის შემცირება	19
31 დეკემბერი 2024	(499)

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	1
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	191	233
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	191	234

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არა სარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები

11. სასესხო ვალდებულებები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მიღებული სესხის ძირი ევროში	27,264	27,596
მიღებული სესხის ძირი ლარში	169	169
მიღებული სესხის ძირი დოლარში	3,228	3,093
გადასახდელი პროცენტი ევროში	4,702	4,028
გადასახდელი პროცენტი ლარში	138	77
გადასახდელი პროცენტი დოლარში	259	118
სულ მიღებული სესხები	35,761	35,081

ბანკის სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებებით: სატრანსპორტო საშუალებები, მიწის ნაკვეთი და მანქანა-დანადგარები. მიღებული სესხების მიზნობრიობას ძირითადი საშუალებების შეძენა წარმოადგენს

დეტალური ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მსესხებელი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ორიგინალი ვალუტა	ვალუტა	პროცენტი	ბალანსი 31.12.2024
------------	--------------------	----------------------	---------------------	--------	----------	-----------------------

შპს „ასკანგელ ალიანს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

ფ/პ გოჩა ჩხაიძე USD	27/09/2023	9/27/2026	300,000	USD	5%	893
ფ/პ გოჩა ჩხაიძე	5/3/2018	9/27/2026	169,000	GEL	12%	307
1/SERTORA LIMITED						
2/ORESTI MAKRI 4						
KAPSALOS 3082	2016-04-11	3/31/2025	6,750,000	EUR	2%	16,221
3/CY/LIMASSOL						
SERTORA LIMITED						
30.11.2022	11/30/2022	11/30/2026	150,000	EUR	5%	372
შპს ანასეულის						
კომბინატი_02.10.2020	29/01/2019	12/31/2026	100,000	EUR	5%	354
შპს ანასეულის						
კომბინატი_29.05.2019	12/6/2019	12/31/2026	35,000	EUR	5%	131
შპს ანასეულის						
კომბინატი_03.07.2019	3/7/2019	12/31/2026	150,000	EUR	5%	558
შპს ანასეულის						
კომბინატი_06.07.2020	6/7/2020	12/31/2026	50,000	EUR	5%	179
შპს ანასეულის						
კომბინატი_02.10.2020	14/07/2020	12/31/2026	100,000	EUR	5%	380
შპს ანასეულის						
კომბინატი_18.12.2020	18/12/2020	12/31/2026	1,165,710	EUR	5%	3,958
შპს ანასეულის						
კომბინატი_12.06.2019	29/05/2019	12/31/2026	35,000	EUR	5%	131
შპს ანასეულის						
კომბინატი_14.07.2020	14/07/2020	12/31/2026	100,000	EUR	5%	358
შპს ანასეულის						
კომბინატი_15.05.2019	2/10/2020	12/31/2026	100,000	EUR	5%	375
შპს ანასეულის						
კომბინატი_05.07.2023	5/7/2023	4/7/2025	50,000	USD	10.5%	162
#05/22-11						
შპს ანასეულის კომბინატი						
(437062713) 04.12.2023	4/12/2023	4/12/2026	75,000	USD	5%	218
შპს ასკანელი ძმები						
სს თიბისი ზანკი 3853732-	28/06/2023	6/28/2025	50,000	USD	10.5%	163
11280555	1/29/2021	2/21/2026	95,000	EUR	9%	271
SERTORA LIMITED						
01.06.2023 USD	6/1/2023	6/1/2025	100,000	USD	5%	303
SERTORA LIMITED						
03.04.2023 USD	4/3/2023	4/3/2025	150,000	USD	5%	457
SERTORA LIMITED						
19.12..2023 USD	12/19/2023	12/19/2026	75,000	USD	5%	221
შპს მოლგეო						
ინვესტი_15.10.2019	15/10/2019	8/5/2025	200,000	EUR	5%	718
შპს მოლგეო						
ინვესტი_24.11.2022	24/11/2022	8/5/2025	30,000	EUR	5%	97
შპს მოლგეო						
ინვესტი_25.05.2020	2020-05-25	8/5/2025	150,000	EUR	5%	487
შპს მოლგეო						
ინვესტი_29.01.2020	3/7/2019	8/5/2025	150,000	EUR	5%	546
შპს უძრავი ქონების						
მართვის კომპანია	15/10/2019	3/31/2025	200,000	EUR	5%	6,830
შპს მოლგეო						
ინვესტი_11.07.2023 USD	11/7/2023	8/5/2025	150,000	USD	5%	452
შპს მოლგეო						
ინვესტი_26.01.2023 USD	26/01/2023	8/5/2025	200,000	USD	5%	616

35,761

შპს „ასკანგელ ალიანს“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

მსესხებელი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ორიგინალი ვალუტა	ვალუტა	პროცენტი	ბალანსი 31.12.2023
ფიზიკური პირი გოჩა ჩხაიძე	5/3/2018	2024-12-31	169,000	GEL	16%	302
ფიზიკური პირი გოჩა ჩხაიძე	09/27/2023	2026-09-27	300,000	USD	5%	814
SERTORA LIMITED	10/15/2019	2024-10-16	100,000	EUR	5%	720
SERTORA LIMITED	1/29/2020	2024-02-03	150,000	EUR	5%	528
SERTORA LIMITED	4/11/2016	2024-03-24	6,750,000	EUR	2%	22,995
SERTORA LIMITED	5/25/2020	2024-05-26	150,000	EUR	5%	490
SERTORA LIMITED	11/24/2022	2023-11-24	30,000	EUR	5%	94
SERTORA LIMITED	11/30/2022	2024-11-30	50,000	EUR	5%	360
შპს ანასეულის კომპინატი	2/10/2020	2026-12-31	100,000	EUR	5%	343
შპს ანასეულის კომპინატი	3/7/2019	2026-12-31	150,000	EUR	5%	530
შპს ანასეულის კომპინატი	6/7/2020	2026-12-31	50,000	EUR	5%	173
შპს ანასეულის კომპინატი	7/14/2020	2026-12-31	100,000	EUR	5%	346
შპს ანასეულის კომპინატი	6/12/2019	2026-12-31	35,000	EUR	5%	124
შპს ანასეულის კომპინატი	5/15/2020	2026-12-31	100,000	EUR	5%	361
შპს ანასეულის კომპინატი	12/18/2020	2026-12-31	750,000	EUR	5%	3,821
შპს ანასეულის კომპინატი	5/29/2019	2026-12-31	35,000	EUR	5%	124
შპს ანასეულის კომპინატი	1/29/2019	2026-12-31	100,000	EUR	5%	353
სს თიბისი ბანკი	1/29/2021	2024-01-29	95,000	EUR	9%	276
SERTORA LIMITED	11/07/2023	2024-11-7	150,000	USD	5%	406
SERTORA LIMITED	26/01/2023	2024-01-26	200,000	USD	5%	563
შპს ანასეულის კომპინატი	4/12/2023	2024-12-04	50,000	USD	11%	141
შპს ანასეულის კომპინატი	4/12/2023	2024-12-4	75,000	USD	5%	202
შპს ასკანელი ძმები	28/06/2023	2024-05-28	50,000	USD	11%	141
SERTORA LIMITED	6/01/2023	2024-01-29	100,000	USD	5%	269
SERTORA LIMITED	04/03/2023	2024-03-04	150,000	USD	5%	403
SERTORA LIMITED	12/19/2023	2024-12-19	75,000	USD	5%	202
						35,081

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო ვალდებულებები	386	484

შპს „ასკანგელ ალიანს“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

მიღებული ავანსები	148	71
სახელფასო დავალიანება	61	12
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	595	566

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ აღინიშნება.

13. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	7,667	4,257
შემოსავალი ექსპორტირებული პროდუქციის ტრანსპორტირებიდან	1,795	1,954
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	9,462	6,211

	2024 წ.	2023 წ.
ექსპორტი	8,064	5,081
ადგილობრივი	1,398	1,129
სულ შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	9,462	6,211

კომპანია უმეტესწილად ოპერირებს საექსპორტო ბაზარზე. მისი ძირითადი საქმიანობაა ბენტონიტური თიხის მოპოვება მისგან ისეთი პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია როგორიცაა: ბენტონიტი ღვინის წარმოებისთვის, საყალიბე თიხა, ბენტონიტი კომბინირებული საკვებისთვის და ბენტონიტი საბურღი ხსნარებისთვის.

14. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2024 წ.	2023 წ.
გაცივებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება	3,184	2,257
ტრანსპორტირების ხარჯი	1,862	2,011
ცვეთის ხარჯი	267	281
ხელფასის ხარჯი	350	373
გახარჯული საწვავის ხარჯი	329	271
იჯარის ხარჯი	329	140
ექსპლუატაციის ხარჯი	243	148
სხვა ხარჯები	31	37
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6,594	5,517

15. ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯი	2024 წ.	2023 წ.
ხელფასის ხარჯი	1,562	1,510
ცვეთის ხარჯი	159	131
საგადასახადო ხარჯი	124	129
იჯარის ხარჯი	43	77
კომუნალური ხარჯი	23	14
საწვავის ხარჯი	34	33
წარმომადგენლობითი ხარჯი	24	14
ექსპლუატაციის ხარჯი	88	103

სხვა ხარჯი	346	308
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	2,403	2,319

16. ფინანსური შემოსავალი

	2024 წ.	2023 წ.
იურიდიული პირების სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	507	469
ფიზიკური პირების სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	12	12
სულ ფინანსური შემოსავალი	519	481

17. ფინანსური ხარჯი

	2024 წ.	2023 წ.
იურიდიული პირების სესხებზე დარიცხული პროცენტი	1,143	1,151
ფიზიკური პირების სესხებზე დარიცხული პროცენტი	61	29
სულ ფინანსური ხარჯი	1,204	1,180

18. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება

ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

31-დეკ- 2024

	ლარი	უცხოური ვალუტა	სულ
ფინანსური აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტი	191	-	191
გაცემული გრძელვადიანი სესხი	4,368	318	4,686
სავაჭრო მოთხოვნები	372	596	968
სულ ფინანსური აქტივები	4,932	913	5,846

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	349	246	595
სასესხო ვალდებულებები	10,054	25,707	35,761
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,403	25,953	36,356
წმინდა სავალუტო პოზიცია	(5,471)	(25,040)	(30,511)

31-დეკ- 2023

	ლარი	უცხოური ვალუტა	სულ
ფინანსური აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტი	233	1	234
გაცემული გრძელვადიანი სესხი	3,742	290	4,032
სავაჭრო მოთხოვნები	344	952	1,296
სულ ფინანსური აქტივები	4,319	1,243	5,562

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	349	217	566
სასესხო ვალდებულებები	302	34,778	35,081

შპს „ასკანგელ ალიანს“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

სულ ფინანსური ვალდებულებები	651	34,995	35,647
წმინდა სავალუტო პოზიცია	3,668	(33,752)	(30,085)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს, გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე, რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2024-2023 წლებში მოცემულია ქვემოთ:

2024 წლის 31 დეკემბერი	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1 დან 3 წლამდე ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	191	-	191
გაცემული გრძელვადიანი სესხი	234	4,453	4,686
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	968	-	968
სულ აქტივები	1,393	4,453	5,846
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	595	-	595
სასესხო ვალდებულებები	27,052	8,708	35,761
სულ ვალდებულებები	27,648	8,708	36,356
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	(26,254)	(4,256)	(30,510)

2023 წლის 31 დეკემბერი	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1 დან 3 წლამდე ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	234	-	234
გაცემული გრძელვადიანი სესხი	978	3,054	4,032
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	778	-	778
სულ აქტივები	1,990	3,054	5,044
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	566	-	566
სასესხო ვალდებულებები	27,080	8,000	35,081
სულ ვალდებულებები	27,646	8,000	35,647

წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	(25,656)	(4,947)	(30,603)
-----------------------------	----------	---------	----------

20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელსაც მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31-დეკ-24		31-დეკ-23	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	191	191	234	234
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	968	968	778	778
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	595	595	566	566
სასესხო ვალდებულებები	35,761	35,761	35,081	35,081
გაცემული გრძელვადიანი სესხი	4,686	4,686	4,032	4,032

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანაფლობილები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები და მათი წილობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

დასახელება	წილი %
------------	--------

შპს „ასკანგელ ალიანს“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

SERTORA LIMITED, HE331599/კვიპროსი/	53.5%
გოზა ჩხაიძე (საქართველოს და რუსეთის ფედერაციის ორმაგი მოქალაქე)	20%
გიორგი ჩხეიძე (აშშ)	2.5%
ნინო ჩხეიძე (საქართველოს მოქალაქე)	2.5%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ანასეულის კომბინატი, 437062713	21.5%

შპს „ასკანგელ ალიანსის“ მკონტროლებელი მხარეა SERTORA LIMITED” (HE331599). საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეა იურის ლეონენკო (ლატვიის მოქალაქე).

შემდგომი ტრანზაქციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

საბალანსო მუხლები		31-დეკ-2024	31-დეკ-2023
კავშირის ტიპი	ტრანზაქციები დაკავშირებული მხარეებთან	ტრანზაქციის მოცულობა	ტრანზაქციის მოცულობა
საერთო დირექტორი	შემოსავალი რეალიზაციიდან	73	-
საერთო მმართველობა	საპროცენტო ხარჯი	958	1,153
საერთო მმართველობა	საპროცენტო შემოსავალი	494	421

მოგება/ზარალის მუხლები		31-დეკ-2024	31-დეკ-2023
კავშირის ტიპი	ტრანზაქციები დაკავშირებული მხარეებთან	ტრანზაქციის მოცულობა	ტრანზაქციის მოცულობა
საერთო მმართველობა	გაცემული სესხი	4,602	3,956
დამფუძნებელი	სასესხო ვალდებულება	35,489	34,805
საერთო მმართველობა	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	141

მენეჯმენტის ანაზღაურება:

	2024 წ.	2023 წ.
უმაღლესი მენეჯმენტის ანაზღაურება	445	359

22. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 სექტემბერი. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოცემამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „ასკანგელ ალიანსი“-ს

2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

1. კომპანიის ისტორია, განვითარება და პოზიცია ბაზარზე.....	3
2. ფინანსური მაჩვენებლები	4
3. განვითარების გეგმები.....	6
4. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	6
5. ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები	6
6. წლიური ფინანსური ანგარიშგების თანხების დამატებითი განმარტებები.....	6

1. კომპანიის ისტორია, განვითარება და პოზიცია ბაზარზე

ზოგადი ინფორმაცია: შპს ასკანგელ ალიანსი საქართველოში ბენტონიტური თიხის მომპოვებელი და გადამამუშავებელი ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბენტონიტური თიხის მოპოვება და მისგან ისეთი პროდუქციის წარმოება როგორიცაა: ბენტონიტი ღვინის წარმოებისთვის, საყალიბე თიხა, ბენტონიტი კომბინირებული საკვებისთვის, ბენტონიტი საბურღი ხსნარებისთვის და ღვინის ბენტონიტი. კომპანია ბენტონიტს მოიპოვებს საქართველოს ტერიტორიაზე და შემდგომ ახდენს რეალიზაციას როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ბაზარზე. უმეტესწილად ოპერირებს საექსპორტო ბაზარზე.

შპს ასკანგელ ალიანსის საწარმოს მშენებლობა და თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვა მოხდა 2016 – 2017 წლებში. მანქანა-დანადგარების იმპორტირება განხორციელდა ძირითადად გერმანიიდან და მცირე რაოდენობით თურქეთიდან. მოცემულ ეტაპზე კომპანია ახორციელებს უმაღლესი ხარისხის პროდუქციის წარმოებას. შპს ასკანგელ ალიანსის ძირითადი ექსპორტიორია ფინური კომპანია OY LUX , რომელთანაც 10 წლიანი კონტრაქტი გვაკავშირებს და ბენტონიტურ თიხას ყიდულობს რადიაქტიური სარკოვავის მოსაწყობად. გარდა ფინური მყიდველისა, ძირითადი მყიდველები არიან პოლონური GDA, რუსული ООО „Глинопереработка“, მინსკის ტრაქტორების ქარხანა, უკრაინაში კრემენჩუკის მეტალურგიული ქარხანა და გერმანული - რეინის სატრანსპორტო კომპანია.

მიუხედავად ახლადგახსნილი წარმოებისა შპს ასკანგელ ალიანსის მიერ მოპოვებული თიხა მაღალი ცნობადობით სარგებლობს მთელს მსოფლიოში როგორც ასკანის ბენტონიტური თიხები.


კომპანია ძირითადი ნედლეულისა და მასალების მოპოვებას ახდენს სოფელი მთისპირიდან. ხოლო დამხმარე ნედლეულის და მასალების, როგორიცაა სოდა, მაგნიუმი და ტომრები შესყიდვა ხორციელდება თურქეთიდან. მაღალტექნოლოგიური დამხმარე მასალების და ძირითადი საშუალებების შეძენა ხორციელდება გერმანიიდან.

შპს ასკანგელ ალიანსს აქვს ერთი ქარხანა ს. დეაბზუში და შუალედური საწყობი სადაც ხორციელდება ახლადმოპოვებული თიხის დასაწყობება/დაფასოვება ს. მთისპირში. ადმინისტრაციული შენობა განთავსებულია ქარხნის ტერიტორიაზე.


კომპანიას გააჩნია 2018 წლის 13 დეკემბრით დათარიღებული კომპანია „რუსული რეგისტრ“-ის მიერ გაცემული ხარისხის მართვის სისტემის (შესაბამისობაზე კერძოდ: ბენტონიტის მიღების, დამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის სფეროში) სერთიფიკატი ISO 9001:2015. კომპანიამ 2022 წლის დეკემბერში განაახლა სერთიფიკატი და ამასთანავე სერთიფიკატის განახლების პროცესი მიმდინარეობს წელს. (2024 წელი)

2. ფინანსური მაჩვენებლები (ათას ლარებში)



მიმდინარე აქტივები და მიმდინარე ვალდებულებები 2024 და 2023 წლებში:



გრძელვადიანი აქტივები და გრძელვადიანი ვალდებულებები 2024 და 2023 წლებში:



კომპანიის შემოსავალი 2024 და 2023 წლებში:



*თანხები მოცემულია ათას ლარში

ჯამურ რეალიზაციაში საექსპორტო ბაზარზე რეალიზებული პროდუქციის ღირებულების წილი შეადგენს დაახლოებით 80 %-ს.

კომპანიის პერიოდის შედეგი 2024 და 2023 წლებში მოცემული ქვემოთ:

	2024	2023
პერიოდის შედეგი	93	(3,325)

*თანხები მოცემულია ათას ლარში

3 განვითარების გეგმები

კომპანიის კორპორაციულ სტრატეგია კლიენტზე ანუ საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ შეესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსაც. კომპანიის ფილოსოფიას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ და ვყიდით უნიკალურ და ექსპორტზე ორიენტირებულ ქართულ პროდუქტს.

წარმოების პროცესის გასაუმჯობესებლად მიმდინარე წელს კომპანიამ შეუკვეთა მტერის ნედლეულთან შერევის სისტემა და გაცრის სისტემა, რომელიც უნდა დაემატოს უკვე არსებულს. საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ამ პროცესების დახვეწით დაგეგმილია გაზის მოხმარების და ტრანსპორტირების ხარჯის შემცირება. წარმადობის გაზრდის შემდომ კომპანიას დაგეგმილი აქვს შევიდეს კიდევ უფრო მეტ საექსპორტო ბაზარზე.

4. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები. პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენება დევაზუში არსებული ქარხანა და მთისპირში შესაბამისი საწყობი.

5. ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2023 და 2024 წელს შეადგენდა:

შპს ასკანგელ ალიანსში 2023 წელს რეგისტრირებული იყო 113 თანამშრომელი. ხოლო, 2024 წელს 133 თანამშრომელი.

7. წლიური ფინანსური ანგარიშგების თანხების დამატებითი განმარტებები

შპს ასკანგელ ალიანსის სამარკო ნიშანია ეტაპობრივად განვითარება და სტაბილურობა ბაზარზე, პროდუქციის მიწოდების სისწრაფე და მაღალი ხარისხი.

დირექტორი: გიორგი ჩქარეულია
ხელმოწერა:

თარიღი: 24 სექტემბერი, 2025წ.

3 განვითარების გეგმები

კომპანიის კორპორაციულ სტრატეგია კლიენტზე ანუ საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ შეესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსაც. კომპანიის ფილოსოფიას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ და ვყიდით უნიკალურ და ექსპორტზე ორიენტირებულ ქართულ პროდუქტს.

წარმოების პროცესის გასაუმჯობესებლად მიმდინარე წელს კომპანიამ შეუკვეთა მტვრის ნედლეულთან შერევის სისტემა და გაცრის სისტემა, რომელიც უნდა დაემატოს უკვე არსებულს. საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ამ პროცესების დახვეწით დაგეგმილია გაზის მოხმარების და ტრანსპორტირების ხარჯის შემცირება. წარმადობის გაზრდის შემდომ კომპანიას დაგეგმილი აქვს შევიდეს კიდევ უფრო მეტ საექსპორტო ბაზარზე.

4. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები. პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენება დევაზუში არსებული ქარხანა და მთისპირში შესაბამისი საწყობი.

5. ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2023 და 2024 წელს შეადგენდა:

შპს ასკანგელ ალიანსში 2023 წელს რეგისტრირებული იყო 113 თანამშრომელი. ხოლო, 2024 წელს 133 თანამშრომელი.

7. წლიური ფინანსური ანგარიშგების თანხების დამატებითი განმარტებები

შპს ასკანგელ ალიანსის სამარკო ნიშანია ეტაპობრივად განვითარება და სტაბილურობა ბაზარზე, პროდუქციის მიწოდების სისწრაფე და მაღალი ხარისხი.

დირექტორი: გიორგი ჩქარეულია
ხელმოწერა:

თარიღი: 24 სექტემბერი, 2025წ.

